ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

ხელშეკრულება საკრედიტო ხაზით მომსახურებაზე No -----

ქ. ------ --.--.20--

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი

კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: (ფიქსირებული)[1] (ინდექსირებული)[2];

(--/--/---- დან --/--/---- ჩათვლით პერიოდში - ფიქსირებული.

საპროცენტო განაკვეთის ოდენობა კრედიტის ათვისებულ თანხაზე ფიქსირებული წლიური -- %, ხოლო კრედიტის აუთვისებელ თანხაზე ფიქსირებული წლიური -- %;)[3]

(--/--/---- დან --/--/---- ჩათვლით პერიოდში საპროცენტო განაკვეთის ოდენობა კრედიტის ათვისებულ თანხაზე - ინდექსირებული, წლიური -- % (რეფინანსირების განაკვეთს)(EURIBOR-ს)(Term SOFR-ს) დამატებული -- %. ხოლო, კრედიტის აუთვისებელ თანხაზე ფიქსირებული წლიური -- %;)[4]

რეფინანსირების შემთხვევაში წამოსაღები ტექსტი:

(ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, მრავალჯერადად, მსესხებლის/მსესხებლების დამატებითი თანხმობის გარეშე, ავტომატურად გაზარდოს/შეამციროს საპროცენტო განაკვეთი იმდენი პროცენტული პუნქტით, რამდენი პროცენტული პუნქტითაც გაიზრდება/შემცირდება რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთი, მაგრამ არანაკლებ წლიური -- %-ისა და არაუმეტეს წლიური -- %-ისა.)

EURIBOR-ის შემთხვევაში წამოსაღები ტექსტი:

(ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, მრავალჯერადად, მსესხებლის/მსესხებლების დამატებითი თანხმობის გარეშე, ავტომატურად ყოველ -- თვეში ერთხელ გაზარდოს/შეამციროს საპროცენტო განაკვეთი იმდენი პროცენტული პუნქტით, რამდენი პროცენტული პუნქტითაც გაიზრდება/შემცირდება „EURIBOR"-ი, მაგრამ არაუმეტეს წლიური -- %-ისა თუ „EURIBOR"-ი ნულზე ნაკლებია, მაშინ „EURIBOR"-ი ითვლება ნულად.)

Term SOFR-ის შემთხვევაში წამოსაღები ტექსტი:

(ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, მრავალჯერადად, მსესხებლის/მსესხებლების დამატებითი თანხმობის გარეშე, ავტომატურად ყოველ -- თვეში ერთხელ გაზარდოს/შეამციროს საპროცენტო განაკვეთი იმდენი პროცენტული პუნქტით, რამდენი პროცენტული პუნქტითაც გაიზრდება/შემცირდება Term SOFR-ი, მაგრამ არანაკლებ წლიური --%-ისა და არაუმეტეს წლიური --%-ისა.)

კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: -- %;

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის და მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობის გამოთვლისას გამოყენებული დაშვება: სესხის თანხა ათვისებულია პირველივე შესაძლებლობისთანავე, დარიცხულ პროცენტის გადახდა ხდება ყოველი თვის ბოლოს, სესხი სრულად იფარება ვადის ბოლოს.

---

[1] თუ საკრედიტო ხაზის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია

[2] თუ საკრედიტო ხაზის საპროცენტო განაკვეთი ინდექსირებულია

[3] ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე საკრედიტო ხაზის შემთხვევაში

[4] შერეული (ინდექსირებული და ფიქსირებული) საპროცენტო განაკვეთის მქონე საკრედიტო ხაზის შემთხვევაში

(საკრედიტო ხაზის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვლება დაშვებით, რომ ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი ინდექსის ოდენობა უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში;)[5]

ფინანსური ხარჯები:
დაზღვევის ხარჯი: --
კრედიტის გაცემის საკომისიო: --
თანხის განაღდების საკომისიო: --
გადარიცხვის საკომისიო: --
უზრუნველყოფის ხელშეკრულების რეგისტრაციის ხარჯი: --
ნოტარიული ხარჯი: --
სესხის გაცემის საკითხის განხილვის საკომისიო: --

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია:
კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა (საკრედიტო ხაზის ლიმიტი): ---------;
საკრედიტო ხაზის და საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების მოქმედების ვადა: --.--.---- -დან --.--.---- -ის ჩათვლით;
მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. დეტალური ინფორმაციისათვის გთხოვთ იხილოთ „დამატებითი სახელშეკრულებო პირობების“ მუხლი 8[1], რომელიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.procreditbank.ge.[6]
მომხმარებელს არ აქვს უფლება უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ მიხედვით.[7]
მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა: -- (ლარი/აშშ დოლარი/ევრო);
ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკომისიო: ა) ლარში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან იგივე ვალუტაში, ან უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან ნებისმიერ უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტით რეფინანსირების შემთხვევაში მსესხებელი ფიზიური პირის, ასევე, მსესხებელი იურიდიული პირის, რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკის მიმართ არ აღემატება ორ მილიონ ლარს (ექვივალენტი სხვა ვალუტაში), წინსწრებით დაფარული კაპიტალის არაუმეტეს 0.5%. ბ) ლარში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან იგივე ვალუტაში, ან უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან ნებისმიერ უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტით რეფინანსირების შემთხვევაში მსესხებელი იურიდიული პირის, რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკის მიმართ აღემატება ორ მილიონ ლარს (ექვივალენტი სხვა ვალუტაში), ასევე, ვალდებულების მოცულობის მიუხედავად, მსესხებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ საკუთარი სახსრებით წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში. (ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის მიხედვით: ა) 0% - 6 თვემდე ვადის

[5] თუ საკრედიტო ხაზის საპროცენტო განაკვეთი ინდექსირებულია
[6] თუ მსესხებელს აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება
[7] თუ მსესხებელს არ აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება

შემთხვევაში; ბ) 0.5% - 6-დან 12 თვემდე ვადის შემთხვევაში; გ) 1% - 12-დან 24 თვემდე ვადის შემთხვევაში; დ) 2 % - 24 თვეზე მეტი ვადის შემთხვევაში)[8] (ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის მიხედვით: ა) 0.5% - 6 თვეზე მეტი ვადის შემთხვევაში და 0% - 6 თვეზე ნაკლები ვადის შემთხვევაში)[9];
ვადაგადაცილების პირგასამტეხლო: სესხის ვადაგადაცილებული თანხის --- % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული/ დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობის დაანგარიშება ყოველი ვადის გადაცილებისას არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას;

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით, ან ელექტრონული ფოსტით, ან ინტერნეტ-ბანკით, ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ან სატელეფონო ზარით;
(ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთიანი სესხი (გარდა ინფლაციის ინდექსზე მიბმულისა) მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს! საჯარო ინდექსის ოდენობის ცვლილებამ შესაძლოა შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს!
ეფექტური საპროცენტო განაკვეთი Term SOFR-ის 3 პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში: -- %;
ეფექტური საპროცენტო განაკვეთი EURIBOR-ის 3 პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში: -- %;
ეფექტური საპროცენტო განაკვეთი რეფინანსირების განაკვეთის 5 პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში: -- %;)[10]
უცხოური ვალუტით აღებული სესხი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს. ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს;
კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გაუფასურების შემთხვევაში: -- %;[11]

მომხმარებელს, უკმაყოფილების ან შენიშვნის არსებობის შემთხვევაში, უფლება აქვს განაცხადოს პრეტენზია ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით, ასევე მიმართოს პრეტენზიის წარდგენის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მექანიზმებს. პრეტენზიაზე რეაგირება ხდება მისი მიღებიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში;

გაეცანით მომხმარებლისათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – www. nbg.gov.ge/cp – და ცხელ ხაზზე 032 2406406.

[8] თუ საკრედიტო ხაზის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია
[9] თუ საკრედიტო ხაზის საპროცენტო განაკვეთი ინდექსირებულია
[10] ინდექსირებული საკრედიტო ხაზის შემთხვევაში
[11] უცხოურ ვალუტაში გაცემული საკრედიტო ხაზის შემთხვევაში

ხელშეკრულება საკრედიტო ხაზით მომსახურებაზე No -----

ქ. ------ **--.--.20--**

მუხლი 1.

1.1. ბანკი: სს"პროკრედიტ ბანკი"; საიდენტიფიკაციო კოდი: 204851197;

1.2. მსესხებელი/მსესხებლები: (სახელი და გვარი/დასახელება, (პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი: ----))

1.3. ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში (კონტექსტის შესაბამისად), ტერმინი მსესხებელი შეიძლება მოიცავდეს როგორც ერთ მსესხებელს, ასევე, მსესხებელთა ჯგუფს ერთად (თანამსესხებლებს). მსესხებლები/თანამსესხებლები წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს.

1.4. თანამსესხებლები, ვთანხმდებით შემდეგზე:[12]

მუხლი 2.

წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, "ბანკი" უხსნის "მსესხებელს" საკრედიტო ხაზს და დაუშვებს ლიმიტს ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით:

სესხის გაცემა შესაძლებელი გახდა სს "პროკრედიტ ბანკს" და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მოქმედი „**აღმოსავლეთ პარტნიორობა „ქალები ბიზნესში" დაფინანსების პროგრამის**" (შემდგომში „პროგრამა - ქალები ბიზნესში") ფარგლებში.[13]

მსესხებლები თანხმდებიან მასზედ, რომ სესხის სრული თანხა ჩაირიცხება *(მსესხებლის სახელი და გვარი-ს)* ბანკში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე *(მიმდინარე ანგარიშის ნომერი),* რასთან დაკავშირებითაც ბანკს აძლევენ შეუქცევად დავალებას.[14]

1. კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: **(ფიქსირებული)[15] (ინდექსირებული)[16];**

(--/--/---- დან --/--/---- ჩათვლით პერიოდში - ფიქსირებული.

საპროცენტო განაკვეთის ოდენობა კრედიტის ათვისებულ თანხაზე ფიქსირებული წლიური -- %, ხოლო კრედიტის აუთვისებელ თანხაზე ფიქსირებული წლიური -- %;)[17]

(--/--/---- დან --/--/---- ჩათვლით პერიოდში საპროცენტო განაკვეთის ოდენობა კრედიტის ათვისებულ თანხაზე - ინდექსირებული, წლიური -- % (რეფინანსირების განაკვეთს)(EURIBOR-ს)(Term SOFR-ს) დამატებული -- %. ხოლო, კრედიტის აუთვისებელ თანხაზე ფიქსირებული წლიური -- %;)[18]

რეფინანსირების შემთხვევაში წამოსაღები ტექსტი:

(საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთი. სესხის გაცემის მომენტისათვის რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთია -- %. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, მრავალჯერადად, მსესხებლის/მსესხებლების დამატებითი თანხმობის გარეშე, ავტომატურად გაზარდოს/შეამციროს საპროცენტო განაკვეთი იმდენი პროცენტული პუნქტით, რამდენი პროცენტული პუნქტითაც გაიზრდება/შემცირდება რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთი, მაგრამ არანაკლებ წლიური -- %-ისა და არაუმეტეს წლიური -- %-ისა. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების განაკვეთი (მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი) საჯაროდ ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერნეტ გვერდიდან: www.nbg.gov.ge.)

EURIBOR-ის შემთხვევაში წამოსაღები ტექსტი:

(ევროს -- თვიან დეპოზიტზე ევროპის შიდა საბანკო ბაზარზე წამყვანი ბანკების მიერ ქვოტირების საფუძველზე მიღებული (ან დადგენილი) ევროს საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი დამრგვალებული მეასედებამდე (შემდგომში „EURIBOR"). სესხის მიზნებისათვის „EURIBOR"-ის საპროცენტო განაკვეთია -- %. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, მრავალჯერადად, მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე, ავტომატურად ყოველ -- თვეში ერთხელ გაზარდოს/შეამციროს საპროცენტო განაკვეთი იმდენი პროცენტული პუნქტით, რამდენი პროცენტული პუნქტითაც გაიზრდება/შემცირდება „EURIBOR"-ი, მაგრამ არაუმეტეს წლიური -- %-ისა თუ „EURIBOR"-ი ნულზე ნაკლებია, მაშინ „EURIBOR"-ი ითვლება ნულად. ხელშეკრულების მიზნებისათვის გამოიყენება შესაბამისი ვადიანობის EURIBOR, რომელიც გაანგარიშებული და გამოქვეყნებულია ორი საბანკო დღით ადრე. ხელშეკრულების მიზნებისათვის „EURIBOR"-ის განახლება ხდება თუ ბანკის და „EURIBOR"-ის გამოქვეყნების დღე

---

[12] თანამსესხებლობით გაცემული ხაზის შემთხვევაში

[13] თუ სესხი გაიცება „აღმოსავლეთ პარტნიორობა „ქალები ბიზნესში" დაფინანსების პროგრამის" ფარგლებში

[14] თანამსესხებლობით გაცემული ხაზის შემთხვევაში

[15] თუ საკრედიტო ხაზის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია

[16] თუ საკრედიტო ხაზის საპროცენტო განაკვეთი ინდექსირებულია

[17] ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე საკრედიტო ხაზის შემთხვევაში

[18] შერეული (ინდექსირებული და ფიქსირებული) საპროცენტო განაკვეთის მქონე საკრედიტო ხაზის შემთხვევაში

იქნება საბანკო/სამუშაო დღე. მიმდინარე აქტუალური განაკვეთის ნახვა შეიძლება შემდეგი ინტერნეტ გვერდიდან: https://www.global-rates.com/en/interest-rates/euribor/.)

Term SOFR შემთხვევაში წამოსაღები ტექსტი:

(CME GROUP-ის მიერ გამოქვეყნებულ, აშშ დოლარში დენომინირებული უზრუნველყოფილი ერთდღიანი ბანკთაშორისი დაფინანსების საპროცენტო განაკვეთის (SOFR) საპროგნოზო -- თვიანი საშუალო მაჩვენებელი (შემდგომში „Term SOFR"). სესხის მიზნებისათვის (CME Group-ის მიერ გამოქვეყნებული, დამრგვალებული მეასედებამდე) Term SOFR-ის საპროცენტო განაკვეთია --%. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, მრავალჯერადად, მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე, ავტომატურად ყოველ -- თვეში ერთხელ გაზარდოს/შეამციროს საპროცენტო განაკვეთი იმდენი პროცენტული პუნქტით, რამდენი პროცენტული პუნქტითაც გაიზრდება/შემცირდება Term SOFR-ი, მაგრამ არანაკლებ წლიური --%-ისა და არაუმეტეს წლიური --%-ისა. Term SOFR დგინდება ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრის მოლოდინების გათვალისწინებით; კალკულაციის მეთოდი ითვალისწინებს Term SOFR -ის გამოქვეყნების წინა სამუშაო დღეს არსებული ფინანსური ინსტრუმენტების საშუალო საპროცენტო განაკვეთებს, რომლებიც თავის მხრივ ეფუძნება ერთდღიან ბანკთაშორისი დაფინანსების საპროცენტო განაკვეთებს (SOFR). ხელშეკრულების მიზნებისათვის გამოიყენება შესაბამისი ვადიანობის CME Term SOFR, რომელიც გაანგარიშებული და გამოქვეყნებულია ორი საბანკო დღით ადრე. ხელშეკრულების მიზნებისათვის Term SOFR-ის განახლება ხდება თუ ბანკისა და CME Group-სთვის იქნება საბანკო/სამუშაო დღე. მიმდინარე აქტუალური განაკვეთის ნახვა შეიძლება შემდეგი ინტერნეტ გვერდიდან: https://www.cmegroup.com/market-data/cme-group-benchmark-administration/term-sofr.html. მონაცემების განახლება ხდება ყოველდღიურ რეჟიმში.)

1. მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა: -- (ლარი/აშშ დოლარი/ევრო);
2. კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა (საკრედიტო ხაზის ლიმიტი): -- (ლარი/აშშ დოლარი/ევრო);
3. კრედიტის მთლიანი თანხიდან ფინანსური ხარჯების გამოკლებით დარჩენილი გასატანი თანხის ოდენობა:--;
4. საკრედიტო ხაზის და საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების მოქმედების ვადა: --.--.-- -დან --.--.-- ის ჩათვლით;
5. წლიური პროცენტის მოცულობა კრედიტის ათვისებულ თანხაზე: გაცემული თანხის -- %.
6. წლიური პროცენტის მოცულობა აუთვისებელ თანხაზე: აუთვისებელი თანხის -- %.
7. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: -- %; ეფექტური საპროცენტო განაკვეთის და მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობის გამოთვლისას გამოყენებული დაშვება: სესხის თანხა ათვისებულია პირველივე შესაძლებლობისთანავე, დარიცხულ პროცენტის გადახდა ხდება ყოველი თვის ბოლოს, სესხი სრულად იფარება ვადის ბოლოს. (საკრედიტო ხაზის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვლება დაშვებით, რომ ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი ინდექსის ოდენობა უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში;
   ეფექტური საპროცენტო განაკვეთი Term SOFR-ის 3 პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში: -- %;
   ეფექტური საპროცენტო განაკვეთი EURIBOR-ის 3 პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში: -- %;
   ეფექტური საპროცენტო განაკვეთი რეფინანსირების განაკვეთის 5 პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში: -- %;)[19]
8. კრედიტის გაცემის საკომისიო: --
9. **ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკომისიო:** ა) ლარში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან იგივე ვალუტაში, ან უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან ნებისმიერ უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტით რეფინანსირების შემთხვევაში მსესხებელი ფიზიური პირის, ასევე, მსესხებელი იურიდიული პირის, რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკის მიმართ არ აღემატება ორ მილიონ ლარს (ექვივალენტი სხვა ვალუტაში), წინსწრებით დაფარული კაპიტალის არაუმეტეს 0.5%. ბ) ლარში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან იგივე ვალუტაში, ან უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან ნებისმიერ უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტით რეფინანსირების შემთხვევაში მსესხებელი იურიდიული პირის, რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკის მიმართ აღემატება ორ მილიონ ლარს (ექვივალენტი სხვა ვალუტაში), ასევე, ვალდებულების მოცულობის მიუხედავად, მსესხებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ საკუთარი სახსრებით წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში (ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის მიხედვით: ა) 0% - 6 თვემდე ვადის შემთხვევაში; ბ) 0.5% - 6-დან 12 თვემდე ვადის შემთხვევაში; გ) 1% - 12-დან 24 თვემდე ვადის შემთხვევაში; დ) 2 % - 24 თვეზე მეტი ვადის შემთხვევაში)[20] (ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში

[19] თუ საკრედიტო ხაზის საპროცენტო განაკვეთი ინდექსირებულია

[20] თუ საკრედიტო ხაზის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია

ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის მიხედვით: ა) 0.5% - 6 თვეზე მეტი ვადის შემთხვევაში და 0% - 6 თვეზე ნაკლები ვადის შემთხვევაში)[21]

10. საკრედიტო ხაზის მიზნობრიობა: ---------- ;
11. დაზღვევის ხარჯი: --
12. თანხის განაღდების საკომისიო: --
13. გადარიცხვის საკომისიო: --
14. უზრუნველყოფის ხელშეკრულების რეგისტრაციის ხარჯი: --
15. ნოტარიული ხარჯი: --
16. სესხის გაცემის საკითხის განხილვის საკომისიო: --
17. პირგასამტეხლო: სესხის ვადაგადაცილებული თანხის --- % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული/ დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობის დაანგარიშება ყოველი ვადის გადაცილებისას არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას;
18. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებლის სასესხო ანგარიშზე ყოველთვიურად ბრუნვა არ შეადგენს გაცემული თანხის 50%, ბანკი აღნიშნულის შესახებ გააფრთხილებს მსესხებელს მასთან შეთანხმებული ნებისმიერი საკომუნიკაციო არხით და განუსაზღვრავს დამატებით ვადას ვალდებულების შესასრულებად. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, მსესხებელთან დამატებითი შეთანხმების და დადასტურების გარეშე, დაუნიშნოს მსესხებელს ყოველთვიური დაფარვის გრაფიკი სესხის დარჩენილ პერიოდზე ან შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს კრედიტის მთლიანი თანხის, მასზე დარიცხული პროცენტის და პირგასამტეხლოს გადახდა;
19. მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს სესხზე დარიცხული პროცენტები ყოველი თვის ბოლო სამუშაო დღეს. ათვისებული კრედიტის თანხა უნდა დაიფაროს საკრედიტო ხაზის დასრულებამდე;
20. (ამოღებულია).
21. თუ კრედიტის მოცულობა აღემატება 2 000 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, მსესხებელი ვალდებულია, მიმართოს ბანკს წერილობითი ფორმით, კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვამდე 14 კალენდარული დღით ადრე.
22. კრედიტის ტიპი: (საცალო სესხი)(ბიზნეს სესხი)
23. მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. დეტალური ინფორმაციისათვის გთხოვთ იხილოთ „დამატებითი სახელშეკრულებო პირობების“ მუხლი 8[1], რომელიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.procreditbank.ge.[22]
    მომხმარებელს არ აქვს უფლება უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ მიხედვით.[23]

მუხლი 2/1. სპეციალური პირობები „ქალები ბიზნესში“ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხებისათვის

2/1.1. „პროგრამა - ქალები ბიზნესში“ (შემდგომში „პროგრამა“) ხორციელდება ბანკს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მიხედვით კლიენტისათვის საკრედიტო რესურსის გამოყოფა და პროექტის დაფინანსება შესაძლებელი გახდა პროგრამის დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერითა და დაფინანსებით. პროგრამის დონორები არიან ევროპის კავშირი (EU), შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (SIDA), ასევე EBRD-ის აქციონერთა სპეციალური ფონდის (Shareholder Special Fund - SSF) და EBRD-ის მცირე ბიზნესის ზეგავლენის ფონდი (Small Business Impact Fund - SBIF).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკი და კლიენტი ვთანხმდებით შემდეგზე:

ა) მსესხებელი ვალდებულია წინამდებარე სესხის მიზნობრიობით დაფინანსებული საქონლის, სამუშაოს და მომსახურების შესყიდვა განახორციელოს შესაბამისი დარგის მარეგულირებელი კანონმდებლობის და დადგენილი შესყიდვების სტანდარტული პრაქტიკის შესაბამისად;

---

[21] თუ საკრედიტო ხაზის საპროცენტო განაკვეთი ინდექსირებულია

[22] თუ მსესხებელს აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება

[23] თუ მსესხებელს არ აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება

ბ) მსესხებელი ვალდებულია დაიცვას ყველა მოქმედი გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანდაცვის და უსაფრთხოების კანონმდებლობა, ასევე საქართველოში მოქმედი დასაქმების შესახებ კანონმდებლობა და სტანდარტები;

გ) წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით/დადასტურებით, მსესხებელი აცხადებს თანხმობას მიაწოდოს ყველა შესაბამისი ინფორმაცია EBRD-ის წარმომადგენლებს (მათ შორის და არა მხოლოდ, EBRD-ის მიერ დაქირავებულ ნებისმიერ კონსულტანტს). შეუზღუდავად დაუშვას იმ შენობებში სადაც პროექტით გათვალისწინებული დანადგარები და მოწყობილობები მდებარეობს ან/და სადაც მსესხებლის პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტებია განთავსებული. ასევე, მხოლოდ წინასწარ შეტყობინების საფუძველზე გადასცეს პროექტთან ან სესხთან დაკავშირებული ყველა მსესხებლის/თანამსესხებელის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშები;

დ) მსესხებელი ვალდებულია სესხთან და თითოეულ პროექტთან დაკავშირებული ყველა ფინანსური ინფორმაცია, დოკუმენტი და ანგარიში, ყველა მსესხებლის ჩამონათვალის ჩათვლით, შეინახოს (1) წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტიდან და (2) OLAF-ის (ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი) ან EBRD-ის მიერ ნებისმიერი მიმდინარე აუდიტის, გადამოწმების, გასაჩივრების, სასამართლო/საარბიტრაჟო დავის ან გამოძიების დასრულებიდან ხუთი წლის განმავლობაში (აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება თითოეულ თანამსესხებელზეც);

ე) წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით/დადასტურებით, მსესხებელი აცხადებს თანხმობას მსესხებელთან, სესხთან და პროექტთან დაკავშირებული ნებიმსიერი და ყველა ინფორმაცია ან/და დოკუმენტები ბანკმა გაუმჟღავნოს EBRD-ის ნებისმიერი წარმომადგენელს;

ვ) მსესხებელი თანახმაა ბანკმა უზრუნველყოს სესხის და პროექტების შესახებ ყველა ინფორმაციის ან/და დოკუმენტის ხელმისაწვდომობა, რათა EBRD-მ შეძლოს სესხიდან შემოსულობებით დაფინანსებული მსესხებლის სესხების პორტფელის პერიოდული ადგილზე შემოწმება;

ზ) მსესხებელი იღებს ვალდებულებას მიცეს შეუზღუდავი დაშვება EBRD-ის იმ შენობა-ნაგებობაში, სადაც პროექტი მდებარეობს;

თ) მსესხებელი ადასტურებს და თანახმაა, რომ EBRD-ს უფლება აქვს დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს გაუმჟღავნოს (მათ შორის SIDA-სთან რეპორტინგის მიზნებისათვის) მსესხებლის, სესხის და პროექტის შესახებ ის დოკუმენტები, ინფორმაცია და ჩანაწერები, რომელსაც EBRD მიზანშეწონილად ჩათვლის დონორი ორგანიზაციის წვლილთან დაკავშირებით მისი წარმომადგენლების მიმართ ანგარიშგებისა და სხვა პასუხისმგებლობების ფარგლებში. ასევე, მსესხებელი ადასტურებს, რომ აღნიშნული უფლებამოსილება ვრცელდება სხვა დონორების SBIF, SSF და SIDA-ს მიმართაც;

ი) მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს ბანკს მოთხოვნილი ის ინფორმაცია, რომელსაც ბანკი (EBRD-ის მოთხოვნით) დროდადრო გონივრულ ფარგლებში მოითხოვს. ასევე, მსესხებელი ვალდებულია ბანკს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ გარემოების შესახებ, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს წინამდებარე სესხით დაფინანსებული პროექტის იმპლემენტაციაზე, აღწერილობასა და ღირებულებაზე (ხარჯებზე);

კ) მსესხებელი ნებას რთავს EBRD-ს ან/და ევროკომისიას, აუდიტორთა ევროპულ სასამართლოს, ან მათ უფლებამოსილ წარმომადგენლებს, განახორციელონ დოკუმენტური და ადგილზე შემოწმებები სესხის, მისი გამოყენების, დამხმარე საბუღალტრო დოკუმენტაციისა და სესხთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტის შემოწმების მიზნებისათვის. ამ მიზნით, მსესხებელმა უნდა დაუშვას და უზრუნველყოს, რომ EBRD-ს ან/და ევროკომისიას, OLAF-ს, აუდიტორთა ევროპულ სასამართლოს ან მათ რომელიმე უფლებამოსილ წარმომადგენელს, მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებლობა მისცეს, რომ: (1) ეწვიოს ნებისმიერ შენობას, სადაც მსესხებელი საქმიანობს; და (2) დაშვება ჰქონდეს და შეისწავლონ მსესხებლის ყველა ანგარიში, ჩანაწერი, დოკუმენტი და კომპიუტერიზებული მონაცემი, რომელიც ეხება სესხს და დაუშვას EBRD-ის ან მისი წარმომადგენლების მიერ ასეთი დოკუმენტებისა და ანგარიშების აუდიტი;

ლ) ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება და გადასახადებისგან თავის არიდება: მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ სესხი არ მოხმარდება ფულის გათეთრებას, ტერორიზმის დაფინანსებას, გადასახადებისგან თავის არიდებას, საგადასახადო თაღლითობას ან გადასახადებისგან თავის დაღწევას;

მ) პერსონალური მონაცემების დაცვა: მსესხებელი ვალდებულია უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების სათანადო დაცვა ყველა მოქმედი კანონისა და რეგულაციის და პერსონალური მონაცემების გამოყენებისა და დაცვის შესახებ ყველა კანონის შესაბამისად;

ნ) მსესხებელი ვალდებულია ბანკის მითითებით აღიაროს და საჯაროდ გაავრცელოს, ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პროექტი და წინამდებარე სესხი მხარდაჭერილია SIDA-ის ფონდისა და შესაბამისი მხარდამჭერების მიერ. ამასთან, EBRD-ის ან/და ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია განახორციელოს კომუნიკაციის

გეგმა მომთხოვნისათვის მისაღები ფორმითა და შინაარსით და უზრუნველყოს აღნიშნული მხარდაჭერის სათანადო ასახვა პრესისთვის მიწოდებულ ყველა ინფორმაციაში.

ო) მსესხებელი ადასტურებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ თავად ჩაერთვება, ან უფლებას მისცემს ან დაუშვებს, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი მისი ხელმძღვანელი პირები, დირექტორები, თანამშრომლები, ასევე აფილირებული პირები, აგენტები ან წარმომადგენლები ჩაერთონ რაიმე აკრძალულ პრაქტიკაში წინამდებარე ხელშეკრულებით დაფინანებულ პროექტთან დაკავშირებით, EBRD-ის უფლება ექნება მის მიმართ გამოიყენოს თავისი აღსრულების პოლიტიკა და პროცედურები, აკრძალულ პრაქტიკაში ჩართვის ბრალდებების შემთხვევაში.

პ) იმ შემთხვევაში, თუ EBRD-ისათვის ცნობილი გახდება, რომ მსესხებელი ჩართულია აკრძალულ პრაქტიკაში, მსესხებელი ვალდებულია: (1) კეთილსინდისიერად ითანამშრომლოს EBRD-სთან და მის წარმომადგენლებთან სავარაუდო დარღვევის შეფასების პროცესში; დაუყოვნებლივ და გონივრული დეტალიზაციით უპასუხოს EBRD-ის ნებისმიერ მოთხოვნას სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით და EBRD-ის მოთხოვნის შემთხვევაში, წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულება; და (2) დაუშვას EBRD-ის წარმომადგენლები (მათ შორის, EBRD-ის მიერ დაქირავებული კონსულტანტები) იმ ობიექტებზე, სადაც ახორციელებს საქმიანობას, და უზრუნველყოს მათთვის წვდომა მის აქტივებზე, ბუღალტრულ წიგნებზე, ანგარიშებსა და დოკუმენტებზე, მათ შორის: (ა) EBRD-ის მიერ ტრანზაქციის მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით და IPAM-ში წარდგენილ ტრანზაქციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ მოთხოვნაზე რეაგირების უზრუნველსაყოფად; და (ბ) იმის დასადგენად, მოხდა თუ არა აკრძალულ პრაქტიკაში ჩართვა შესაბამის ტრანზაქციასთან დაკავშირებით.

ჟ) წინამდებარე ხელშეკრულების სხვა შესაბამისი დებულებების, მათ შორის ზემოაღნიშნული შეზღუდვის გარეშე, თუ მსესხებელი დაარღვევს რომელიმე საფინანსო ხელშეკრულებას; ან/და თუ EBRD დაადგენს, რომ მსესხებელი ჩართული იყო აკრძალულ პრაქტიკაში ტექნიკურ დახმარებასთან ან SIDA-ის ფონდის ან SBIF-ის რესურსებთან დაკავშირებით, EBRD-ის უფლება აქვს გაატაროს ნებისმიერი ზომები, მისი მოქმედი პოლიტიკებისა და პროცედურების შესაბამისად.

რ) თუ SSF-ის ან SBIF-ის მიერ გაწეულ თანხებს მსესხებელი გამოიყენებს არამიზნობრივად, რაც წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებთან წინააღმდეგობაშია, მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ, ბანკის მოთხოვნის საფუძველზე, დაუბრუნოს აღნიშნული თანხები ბანკს. შესაბაისად, ბანკი უფლებამოსილია აღნიშნული თანხების ამოსაღებად და დონორისათვის გადასარიცხად მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა ზომას.

მუხლი 3. შეთანხმებული უზრუნველყოფა და სოლიდარული თავდებობა:

3.1 მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება უზრუნველყოფილი იქნება გაფორმებული და/ან მომავალში გასაფორმებელი იპოთეკის, გირავნობის, ცესიის და ა.შ. ხელშეკრულებებით.

3.2 წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი მსესხებლის ვალდებულებების შესრულება მსესხებელთან ერთად უზრუნველყოფილი იქნება ასევე სოლიდარული თავდებ(ებ)ის მიერ, მათთან გაფორმებული და/ან მომავალში გასაფორმებელი ხელშეკრულებებით.

3.3. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფის საგნის დაზღვევა სავალდებულოა.

3/1.1. მსესხებლები კისრულობენ ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ვალდებულებები შეასრულონ ერთად, სოლიდარულად და თანაბარმნიშვნელოვნად, აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში და პირობებით, ისე რომ მათ მიიღონ მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში. აღნიშნულის საფუძველზე, ბანკს უფლება ეძლევა საკუთარი შეხედულებისამებრ, მთლიანი ვალდებულების შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მსესხებელს/სოლიდარულ მოვალეს.

3/1.2. ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მთლიანი ვალდებულება შეადგენს კრედიტის/სესხის/საბანკო პროდუქტის ძირითად თანხას, დარიცხულ პროცენტებს, პირგასამტეხლოს ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობით ან არასათანადო შესრულებით გამოწვეულ ზიანს, ქონების მოძიებაზე, შენახვაზე და მის რეალიზაციაზე ბანკის მიერ გაწეულ დანახარჯებს, მათ შორის სასამართლო, სასამართლოს გარეშე, არბიტრაჟის და სააღსრულებო ხარჯებს, აგრეთვე პირდაპირ და არაპირდაპირ ზიანს.

3/1.3. ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს გადასახდელი თანხის და გადასახდელ თანხაზე დარიცხული პროცენტების, ასევე ნებისმიერი სხვა გადასახდელებისა და პირგასამტეხლოს/ჯარიმების დაფარვა ნებისმიერი მსესხებლის მიმდინარე ანგარიშზე, შემნახველი ანაბრის ანგარიშებზე და/ან მის/მათ სხვა ანგარიშ(ებ)ზე არსებული თანხების უაქცეპტოდ (ნებისმიერი სოლიდარული მოვალის დამატებითი თანხმობის გარეშე) ჩამოწერის გზით (მათ შორის, ვალდებულების თანხისგან განსხვავებულ ვალუტაში). ამასთანავე, თუ უაქცეპტო წესით ჩამოსაწერი თანხა განსხვავდება ვალდებულების ვალუტისაგან, ბანკი უფლებამოსილია ანგარიშის მფლობელი ნებსიმიერი

სოლიდარული მოვალის ხარჯზე მოახდინოს ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია ბანკის კომერციული კურსის შესაბამისად.[24]

მუხლი 4.

4.1. მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს სესხზე დარიცხული პროცენტები ყოველი თვის ბოლო სამუშაო დღეს. ათვისებული კრედიტის თანხა უნდა დაიფაროს საკრედიტო ხაზის დასრულებამდე.

4.2. ბანკი უფლებამოსილია პროცენტის დაფარვის შემდეგ მსესხებლის მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრები მიაქციოს ათვისებული საკრედიტო რესურსის დასაფარავად ყოველი თვის ბოლო სამუშაო დღეს.

4.3. გადახდის ვადის დადგომისას, ასევე გადახდის ვადის გადაცილებისას, ბანკი უფლებამოსილია მოახდინოს საბანკო პროდუქტისა და მასზე დარიცხული პროცენტების, ასევე ნებისმიერი სხვა გადასახდელებისა და პირგასამტეხლოს/ჯარიმების დაფარვა მსესხებლის მიმდინარე ანგარიშებზე, მსესხებლის შემნახველი ანაბრის ანგარიშებზე, სადეპოზიტო ანგარიშზე (გარდა ვადიანი დეპოზიტისა, თუ სესხი არ არის უზრუნველყოფილი ვადიანი დეპოზიტით) და/ან მის სხვა ნებისმიერი სახის/ტიპის ანგარიშებზე არსებული თანხების, მათ შორის მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე დაშვებული ოვერდრაფტის თანხიდან (აუთვისებელი ნაშთიდან), უაქცეპტოდ/მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე ჩამოჭრის გზით. ამასთანავე, თუ უაქცეპტო წესით ჩამოსაჭრელი თანხა განსხვავდება ვალდებულების ვალუტისაგან, ბანკი უფლებამოსილია მსესხებლის ხარჯზე მოახდინოს ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია ბანკის კომერციული კურსის შესაბამისად.

4.4. გადახდისას პირველ რიგში იფარება საკომისიოები, გადახდის ვადის გადაცილების გამო დაკისრებული პირგასამტეხლო, შემდეგ დარიცხული პროცენტები და ბოლოს კრედიტის თანხა. აღნიშნული რიგითობა ბანკის შეხედულებისამებრ შეიძლება შეიცვალოს.

4.5. მთელი კაპიტალის ან ნაწილის ვადამდე დაფარვისას პირველ რიგში დაიფარება ვადაზე ადრე დაფარვის დღისათვის დარიცხული პროცენტი სრულად. ამასთან, საშეღავათო პერიოდის არსებობისას, ან მისი დასრულების შემდეგ, მთელი კაპიტალის ან მისი ნაწილის დაფარვის შემთხვევაში, პირველ რიგში დაიფარება საშეღავათო პერიოდის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო სარგებელი/პირგასამტეხლო/ნებისმიერი სახის ხარჯი/საკომისიო სრულად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4.6 თუ სასესხო ანგარიშზე ყოველთვიური ბრუნვა არ შეადგენს გაცემული თანხის 50%-ს, ბანკი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მე-5 მუხლით დადგენილი წესით ან დანიშნოს ყოველთვიური დაფარვის გრაფიკი სესხის დარჩენილ პერიოდზე, რომელიც ავტომატურად ამოქმედდება ამ მუხლში გათვალისწინებული პირობის დარღვევისას.

4.7 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება დასაშვებია.

მუხლი 5.

5.1 ბანკი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, მოითხოვოს გაცემული კრედიტის ვადამდე დაფარვა, დარიცხული პროცენტის და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა, აგრეთვე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ხოლო მსესხებელი ვალდებულია შეასრულოს აღნიშნული მოთხოვნები, თუ: 5.1.1 დაირღვა კრედიტის დაფარვისთვის განსაზღვრული ვადა ან კრედიტის მიზნობრივად გამოყენების პირობა; 5.1.2 არ შესრულდა ამ ხელშეკრულებით, ასევე უზრუნველყოფის ან/და თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის მესამე პირების მიერ;

5.1.3 გაუარესდება მსესხებლის ან სოლიდარული თავდების ფინანსური/ქონებრივი მდგომარეობა (მათ შორის ჩამოერთმევა ქონება, ან შეეზღუდება სარგებლობის უფლება), ან შეიქმნება ასეთი საშიშროება და მსესხებელი არ წარმოადგენს დამატებით უზრუნველყოფის საშუალებას;

5.1.4 მსესხებლის მიზანია ბანკის მოტყუება ან ბანკს მიეწოდა მსესხებლის ვალდებულებების, სამეურნეო და/ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი/არასწორი ცნობა, კრედიტის მიღების, ოდენობის გაზრდის და/ან შეღავათიანი პირობებით მიღებისათვის;

5.1.5 დაირღვევა 4.6 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა;

5.1.6 თუ რაიმე მიზეზით ვადამდე დაირღვა მსესხებელის ან სოლიდარული თავდების კუთვნილი, ბანკში გახსნილი ანაბარი;

მუხლი 6.

[24] 3/1.1 – 3/1.3 პუნქტები თანამსესხებლობით გაცემული ხაზის შემთხვევაში

6.1 მსესხებელი თანახმაა, რომ ბანკმა იძულებითი გადახდევინება მიაქციოს მსესხებლის კუთვნილ ნებისმიერ (მათ შორის არაუზრუნველყოფილ) ქონებაზე; ამასთან არ არის აუცილებელი მსესხებლის მიმართ არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით იძულებითი აღსრულება შეეხოს თავდაპირველად უზრუნველყოფის საგნებს. ბანკის გადაწყვეტილებით შესაძლებელია იძულებითი აღსრულება თავდაპირველად დაიწყოს მსესხებლის კუთვნილ სხვა ქონებაზე.

6.2 მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევის ნებისმიერი შემთხვევა (ან შეუსაბამობა ამ ხელშეკრულებების პირობებთან) ანიჭებს ბანკს უფლებას მიიღოს დაკმაყოფილება ამ ხელშეკრულების მე-3 პუნქტში მითითებული ხელშეკრულებების საფუძველზე (რომლებიც წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

6.3 თუ იპოთეკის/გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა არ არის საკმარისი იპოთეკით/გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარად, მხარეები თანხმდებიან, რომ ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა არ ჩაითვლება სრულად დაკმაყოფილებულად, არამედ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად მხოლოდ იმ ნაწილში, რასაც გასწვდება იპოთეკის/გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხა.

მუხლი 7.

7.1. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია თავისუფალი წერილობითი ან სტანდარტული წერილობითი პრეტენზიის ფურცლის შევსებით, ასევე ელექტრონული ფორმით (რომელიც ხელმისაწვდომია ბანკის ოფისებში) ან ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.procreditbank.ge პრეტენზიის ფორმის დარეგისტრირებით. პრეტენზიაზე რეაგირება ხდება მისი მიღებიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში, რომელსაც განიხილავს ბანკში მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული.

7.2 (ამოღებულია)[25] (ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკის ადგილსამყოფელის მიხედვით.)[26]

7.3. შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს პირობების მსესხებლის სასარგებლოდ შეცვლისას.

7.4. ამ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მხოლოდ წერილობითი ფორმით. ცვლილების/დამატების შეტანისთვის წერილობითი ფორმის დაცვა და/ან ცვლილების შესახებ შეტყობინება სავალდებულო არ არის როდესაც კეთდება მომხმარებლის სასარგებლო ცვლილება. ასევე, ბანკი უფლებამოსილია ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეიტანოს ცვლილება ან/და დამატება თუ მსესხებლის, თანამსესხებლის, სოლიდარული თავდების (თუ სესხი უზრუნველყოფილია სოლიდარული თავდებობით) ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის მიერ არ შესრულდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

7.5. წინამდებარე ხელშეკრულებაზე მოქმედებს და ვრცელდება „დამატებითი სახელშეკრულებო პირობები“ რომლითაც ასევე განსაზღვრულია მხარეთა სხვადასხვა სახის უფლება-მოვალეობანი და სახელშეკრულებო პირობები. „დამატებითი სახელშეკრულებო პირობები“ წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს და სავალდებულოა შესასრულებლად. „დამატებითი სახელშეკრულებო პირობები“ განთავსებულია როგორც ბანკის ოფისებში, ასევე ბანკის ინტერნეტ გვერდზე www.procreditbank.ge. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მსესხებელი ადასტურებს, რომ გაეცნო „დამატებით სახელშეკრულებო პირობებს“, ეთანხმება, პრეტენზია არ გააჩნია და კისრულობს მათი შესრულების ვალდებულებას.

7.6. ბანკი უფლებამოსილია, „დამატებით სახელშეკრულებო პირობებში“ მოცემული წესით და მიზნებიდან გამომდინარე, დაამუშავოს მსესხებლის შესახებ ნებისმიერი (მათ შორის, საბანკო, კომერციული, პერსონალური და ბიომეტრული) მონაცემები, მათ შორის: გამოითხოვოს ინფორმაცია სს „კრედიტინფო საქართველოდან“, გადასცეს მსესხებლის და/ან წინამდებარე ხელშეკრულების/კრედიტის შესახებ ინფორმაცია სს „კრედიტინფო საქართველოს“, მიიღოს მსესხებლის პერსონალური მონაცემები სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან.

7.7. ნებისმიერ ელექტრონულ ხელმოწერას, ხელმომწერის მიერ წინამდებარე გარიგების დადასტურებას ინტერნეტ ბანკით, შეთანხმებული მეილით ან/და მხარეთა შორის შეთანხმებული ნებისმიერი სხვა სანდო საკომუნიკაციო არხით, აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა და გარიგება ძალაშია დადასტურების მომენტიდან. აღნიშნული ფორმით გარიგების დადასტურება არ შეიძლება გახდეს სადაო მატერიალურ დოკუმენტზე ფიზიკური ხელმოწერის არარსებობის გამო.

7.8. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით, ან ელექტრონული ფოსტით, ან ინტერნეტ-ბანკით, ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ან სატელეფონო ზარის მეშვეობით.

---

[25] თუ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განხილვა გადაეცემა არბიტრაჟს;

[26] თუ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განხილვა გადაეცემა სასამართლოს;

7.9. ბანკის საზედამხედველო ორგანო: საქართველოს ეროვნული ბანკი. მისამართი: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1.

7.10. მსესხებელი აცხადებს, რომ გაეცნო ბანკის ფილიალში/ვებ-გვერდზე პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პირობებს და თანხმობას აცხადებს, საჭირო მოცულობით, მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.

7.10. მსესხებლები აცხადებენ, რომ მათთვის ცნობილია ბანკის ფილიალში/ვებ-გვერდზე განთავსებული პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობები და თანხმობას აცხადებენ, საჭირო მოცულობით, მათი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.[27]

7.11. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია მხარეებს შორის ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ინახება ბანკში, ხოლო მეორე გადაეცემა მხარე(ებ)ს.

მუხლი 8.

8.1. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების დადების ადგილია დასავლეთ საქართველო, სადაც მოიაზრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია, გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის, სამეგრელო, ზემო სვანეთის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა (მათ შორის და არამხოლოდ დავა დაკავშირებული წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, მოშლის, შეწყვეტის, ბათილობის, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, მისი ნამდვილობის და შეწყვეტის შესახებ), განსახილველად გადაეცემა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს შემდეგი წესით:

8.1.1. დავას განიხილავს და წყვეტს **შპს „არბიტრაჟის სახლი“** (საიდ. კოდი: 411322359);

8.1.2. თუ საარბიტრაჟო სარჩელის/შუამდგომლობის წარდგენის მომენტში, ზემოხსენებული არბიტრაჟი იქნება ლიკვიდირებული ან შეჩერებული/შეწყვეტილი ექნება ფუნქციონირება, ან უარს განაცხადებს დავის განხილვაზე, დავა განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა **შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტს“** (საიდ. კოდი: 205273005);

8.1.3. ამასთან, წინამდებარე საარბიტრაჟო შეთანხმებით, მხარეები ვთანხმდებით, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში დავის განხილვის ადგილია ქალაქი ქუთაისი.

8.1.4. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო სარჩელის/შუამდგომლობის წარდგენის მომენტში, ზემოხსენებული არბიტრაჟები იქნება ლიკვიდირებული ან შეჩერებული/შეწყვეტილი ექნებათ ფუნქციონირება, ან უარს განაცხადებენ დავის განხილვაზე, დავა განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა საქართველოს საერთო სასამართლოებს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკის ადგილსამყოფელის მიხედვით.

8.1. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების დადების ადგილია აღმოსავლეთ საქართველო, სადაც მოიაზრება ქალაქი თბილისი, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის ტერიტორია, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა (მათ შორის და არამხოლოდ დავა დაკავშირებული წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, მოშლის, შეწყვეტის, ბათილობის, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, მისი ნამდვილობის და შეწყვეტის შესახებ), განსახილველად გადაეცემა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს შემდეგი წესით:

8.1.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით დადგენილი კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა (საკრედიტო ხაზის ლიმიტი) ტოლია ან ნაკლებია 500 000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარზე (ან ექვივალენტი ნებისმიერ სხვა ვალუტაში), დავას განიხილავს და წყვეტს **შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი“** (საიდ. კოდი: 205273005), ხოლო თუ მეტია დავას განიხილავს და წყვეტს **შპს „დავების განმხილველი ცენტრი“** (საიდ. კოდი: 204547348).

8.1.2. თუ საარბიტრაჟო სარჩელის/შუამდგომლობის წარდგენის მომენტში, საქმის განმხილველი რომელიმე არბიტრაჟი (მაგ: შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი“) იქნება ლიკვიდირებული ან შეჩერებული/შეწყვეტილი ექნება ფუნქციონირება, ან უარს განაცხადებს დავის განხილვაზე, დავა განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა მეორე არბიტრაჟს და პირიქით.

8.1.3. ამასთან, წინამდებარე საარბიტრაჟო შეთანხმებით, მხარეები ვთანხმდებით, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში დავის განხილვის ადგილია ქალაქი თბილისი.

8.1.4. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო სარჩელის/შუამდგომლობის წარდგენის მომენტში, ზემოხსენებული არბიტრაჟები იქნება ლიკვიდირებული ან შეჩერებული/შეწყვეტილი ექნებათ ფუნქციონირება, ან უარს განაცხადებენ დავის განხილვაზე, დავა განსახილველად და გადასაწყვეტად

[27] თანამსესხებლობით გაცემული ხაზის შემთხვევაში

გადაეცემა საქართველოს საერთო სასამართლოებს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკის ადგილსამყოფელის მიხედვით.